დამტკიცებულია
შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯი-ის
დირექტორის 2023 წლის 22 მაისის
N04/26 ბრძანებით

# შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის

# ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმები

შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია ჯიჯის დირექტორი /ნინო ჭიჭინაძე/

## მიზანი

სკოლის ფსიქოლოგი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვან რგოლს, რომლის მთავარი მიზანია ყველა ბავშვისთვის ბედნიერი, ჯანმრთელი, უსაფრთხო, პოზიტიური და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა, მათ შორის:

- მოსწავლეების აკადემიური, პიროვნული, სოციო-ემოციური და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- ჯანსაღი, გაწონასწორებული, უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობა სკოლაში;
- მასწავლებელთა კონსულტირება სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების პრევენციისა და გადაჭრის მიზნით;
- მშობელთა კონსულტირება სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების პრევენციისა და გადაჭრის მიზნით;
- ასაკობრივი სულიერი და სოციალური პრობლემების მართვა;
- მშობლისა და მასწავლებლის თანამშრომლობის ხელშეწყობა ბავშვის სტრესებისა და პრობლემების მართვაში;
- პირადი თუ ჯგუფური გაუცხოების მართვა და კონფლიქტების თავიდან აცილება;
- ბავშვებმა ისწავლონ თავიანთი ძლიერი და სისუსტეები დამათი გამოყენება და მართვა.

## რეგულაციის სფერო

**აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება:** მოსწავლეებისა და კლასების მონაცემების შეგროვებითა და დამუშავებით სკოლის ფსიქოლოგს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შესახებ. შემდეგ ის ცდილობს, იპოვოს დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზი და შესაბამისად დაგეგმოს ჩარევის სქემა. მაგალითად, თუ მონაცემების მიხედვით, ცუდი ნიშნების მიზეზი დაბალი მოტივაციაა, ის იზრუნებს მის ამაღლებაზე;

**პოზიტიური ქცევისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება:** ამ მიზნის მისაღწევად სკოლის ფსიქოლოგი ზრუნავს მოსწავლეების კომუნიკაციური და სოციალური უნარების ამაღლებაზე, მათი ემოციური და ქცევითი საჭიროებების გამოვლენაზე, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებით ცდილობს მიაწოდოს ასწავლოს მათ პრობლემის აღიარება, ბრაზის მართვა და კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის გზები;

**დაცული, პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნა:** სკოლის ფსიქოლოგი უზრუნველყოფს ბულინგისა და ძალადობის სხვა ფორმების პრევენციას;

**ოჯახსა და სკოლას შორის ძლიერი კავშირის ჩამოყალიბება:** სკოლის ფსიქოლოგი აწვდის მშობლებს ინფორმაციას შვილების სწავლებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის

საჭიროებებზე, იღებს მათგან უკუკავშირს და გეგმავს ერთობლივი ჩარევის სტრატეგიას. უზრუნველყოფს ოჯახსა და სკოლას შორის ძლიერი კავშირის ჩამოყალიბებას.

**განსხვავებული მოსწავლეების მხარდაჭერა:** განსაზღვრავს მათ საჭიროებებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ცვლის კურიკულუმსა და ინსტრუქციებს მრავალფეროვან ჯგუფზე მოსარგებად

**სსსმ მოსწავლეთა მომსახურება**: ადაპტაციისა და აღზრდა-განათლების ხელშეწყობა; მოსწავლეთა კოგნიტური, ფსიქიკური და სოციალური უნარების დადგენა; სოციალური და სასწავლო პრობლემების პრევენცია;

## მომსახურების რესურსები

სკოლის ფსიქოლოგიურ მომსახურებას ეწევა ფსიქოლოგი. სკოლაში არის ფსიქოლოგის კაბინეტი; რესურს ოთახი და შესაბამისი სამუშაო მატერიალური რესურსები;

## სკოლის ფსიქოლოგი

სკოლის ფსიქოლოგი არის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც უფლებამოსილია იმუშაოს სკოლის ფსიქოლოგად და რომელიც სამუშაოს განახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და აღნიშნული პროფესიის მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმების საფუძველზე;

## სკოლის ფსიქოლოგის მუშაობის საფუძველი:

**სკოლის ფსიქოლოგის მუშაობა ეფუძნება:**

- ფსიქოლოგის მუშაობის საერთაშორისო ეთიკის კოდექსს;
- ბავშვის უფლებათა კონვენციას;
- კანონს ზოგადი განათლების შესახებ;
- ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად ორიენტირებს;
- ინკლუზიური განათლების მიზნებსა და ამოცანებს;
- სკოლის შინაგანაწესს და წინამდებარე დებულებას;

## სკოლის ფსიქოლოგის მოვალეობები

- შეაფასოსო მოსწავლეთა კოგნიტური უნარები და სოციალური ქცევა;
- რთული დიაგნოზის ალბათობის შემთხვევაში დააყენოს საკითხი სკოლის ადმინისრტრაციასთან და მშობელთან ბავშვის სერიოზული დიაგნოსტირების შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავოს პრევენციული ღონისძიებები და სამუშაო გეგმა;
- საჭიროების შემთხვევაში კონსულტირება გაუწიოს მასწავლებლებს;
- ჯგუფში სოციალური პრობლემების წარმოჩენის შემთხვევებში ჩაატაროს შესაბამისი სამუშაოები;

- ითანამშრომლოს პედაგოგ აღმზრდელებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან მათი მოთხოვნის შესაბამისად ფსიქოლოგიური პრობლემის დადგენის და დახმარების მიზნით;
- დაადგინოს პირველკლასელთა სასკოლო მზაობა და შესაბამისი რჩევები მისცეს მშობლებსა და აღმზრდელ -პედაგოგებს;
- საჭიროების შემთხვევაში დასაბუთებულ არგუმენტებს უსახელებს მშობელს სკოლაში შესვლის გადავადებასთან დაკავშირებით და ურჩევს მოსამზადებელი საფეხურის გავლას , თუ ასეთ გადავადებას ექნება თავისი შედეგი;
- პირველკლასელთა დახასიათებას გადასცემს კლასის დამრიგებლებს მუშაობის პროცესში გათვალისწინების მიზნით;
- პირველ-მეორე კლასებში ჩაატაროს „ინტელექტუალური თამაშების“ საათები, მოსწავლეთა სოციალური ადაპტაციის სასკოლო სოციალური ჩვევებისა და კოგნიტური უნარების განვითარების მიზნით;
- კლასის დამრიგებლების თხოვნით აფასებს მოსწავლეებ, რომლებიც აღმზრდელს სოციალურ- ფსიქოლოგიური ან სწავლის პრობლემების მქონე ჰგონიათ .
- საჭიროების შემთხვევაში მშობლებთან შეთანხმებითა და სპეცმასწავლებლის დახმარებით გეგმავს პრობლემურ ბავშვთან განსახორციელებელ სამუშაოებს;
- დამრიგებელთა მოთხოვნით მოიძიებს კლასში არსებული პრობლემის ჯგუფური თუ ინდივიდუალური მუშაობით გადაჭრის გზებს და ატარებს შესაბამის სამუშაოებს;
- მას უფლება აქვს უფროსკლასელების მოთხოვნით დაგეგმოს ინდივიდუალური შეხვედრები; ამის შესახებ ინფორმირებული უნდა იყვნენ დამრიგებელი და მშობელი, მაგრამ სასურველია დაიცვას კონფიდენციალურობა, გარდა ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ფაქტების შემთხვევაში;
- დაეხმაროს პედაგოგებს კლასის მართვაში არსებული პრობლემების დადგენაში.
- საჭიროების შემთხვევაში, დააკვირდეს პედაგოგიური კადრების სოციალურ-ფსიქოლოგიურ ქცევას . მისცეს მათ პროფესიული რჩევები;
- აქტიურად ითანამშრომლოს აღმზრდელობით კოორდინატორთან, ჩაერთოს აღმზრდელობითი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით;
- მუდმივად თვალი ადევნოს დახმარების საჭიროების მქონე მოსწავლეების პრობლემის დინამიკას;
- სისტემატურად აკონტროლოს სსსმ მოსწავლეების მდგომარეობა და მათი სწავლების ხარისხი;
- ითანამშრომლოს სპეცმასწავლებელთან და სსსმ მოსწავლეების პედაგოგებთან.

## ფსიქოლოგის მომსახურების წესი

**სკოლის ფსიქოლოგი:**

- განსაკუთრებულ შემთხვევებში საკითხს განიხილავს დირექციასთან ერთად;

- ფსიქოლოგისადმი მშობლის კატეგორიულად უარყოფითი დამოკიდებულების შემთხვევში უფლება ვერ ეწევა საქმიანობის
- მასწავლებელს ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაეწიოს ფსიქოლოგის კონსულტაცია;
- თითოეულ შეხვედრას აღრიცხავს და აკეთებს ჩანაწერს თავის დოკუმენტში;
- საჭიროების შემთხვევაში გარკვეული პერიოდულობით აფასებს მოსწავლეს, ადგენს დოკუმენტაციას, მოსწავლის დინამიკის დაფიქსირების მიზნით;
- სემესტრში რამდენჯერმე მონაწილეობს სსსმ მოსწავლის მონიტორინგის პროცესებში;
- აღნუსხავს და ჩანაწერებს აკეთებს ჯგუფური მუშაობის შესახებ;
- სკოლაში ჩატარებული წინასწარი კვლევის შესაბამისად ადგენს სამუშაო გეგმას;

სამუშაო პროცესი

- უფლება აქვს დაამყაროს კონტაქტი( თუ ამას არ ეწინააღმდეგება იურიდიულად ბავშვზე პასუხისმგებელი პირი ) პედაგოგებთან და მშობლებთან , მეურვეებთან ან ბავშვთან დაახლოებულ და გავლენის მქონე პირებთან სრული და ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად
- იყენებს ტესტებისა და სხვა ეფექტური მეთოდების გამოყენება მოსწავლის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად
- აანალიზებს და აჯამებს ტესტებსა და შეგროვებულ ინფორმაციას
- სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მუშაობს სწავლისა და ქცევის პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაჭრაზე
- შეიმუშავებს რეკომენდაციებს

**ფსიქოლოგის ჩართულობის ზოგადი დადებითი მხარეები**

- იქმნება სწავლა-სწავლებისათვის საჭირო მშვიდი და ადეკვატური გარემო
- მოსწავლეებს შორის ჩამოყალიბებულია მეგობრული, პოზიტიური ურთიერთობები
- მოსწავლეებს, მათ მშობლებს, მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის არის ჯანსაღი, თანამშრომლობითი ურთიერთობა
- იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია და მიზნის მიღწევის სურვილი
- უზრუნველყოფილია წესების, ნორმებისა და ღირებულებების პატივისცემა და შესრულება
- დარეგულირებულია ქცევა
- მოსწავლეს შეუძლია პრობლემის გადაჭრა ადეკვატური მეთოდის გამოყენებით
- აქტივობები მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებზე
- მოსწავლე ადაპტირებულია არსებულ გარემოში